

ისტორიის ოლიმპიადა

ტესტის მაქსიმალური ქულაა: 50

II ტური

ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი სწორი

1. სად შენდებოდა ზიკურათები?

1. ჩინეთში
2. ეგვიპტეში
3. ცენტრალურ ამერიკაში
4. შუამდინარეთში

2. ვინ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი?

1. პეტრე მელიქიშვილი
2. ივანე ჯავახიშვილი
3. ექვთიმე თაყაიშვილი
4. დიმიტრი უზნაძე

3. სად იყო ბაგრატ III-ის პირველი რეზიდენცია, როგორც ქვეყნის გამგებლისა?

1. მცხეთაში
2. ქუთაისში
3. უფლისციხეში
4. არტანუჯში

4. რას ნიშნავს სიტყვა „ისლამი“?

1. მორჩილებას
2. იმედს
3. სიმტკიცეს
4. ბრძოლას

5. სად იყო ბაგრატ III-ის პირველი რეზიდენცია, როგორც ქვეყნის გამგებლისა?

1. მცხეთაში
2. ქუთაისში
3. უფლისციხეში
4. არტანუჯში

დავალებებისთვის 6-8 გამოიყენეთ მოცემული კარიკატურა. თითოეული დავალება ფასდება 3 ან 4 ქულით.

ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული კარიკატურა და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს.



6. დაასახელეთ ერთ-ერთი ცნობილი, ისტორიული პიროვნება რომელიც გამოსახულია კარიკატურაზე? [3 ქულა]

7. რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული კარიკატურაზე?

[3 ქულა]

8. რა მიზნით შეიქმნა მოცემული კარიკატურა?

[4 ქულა]

შეისწავლეთ მოცემული სათაური და დაწერეთ 200-400 სიტყვიანი ესე. [35 ქულა]

ჰოლოკოსტის სახელით ცნობილია **მეორე მსოფლიო ომის** პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ასევე ბოშების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მასიური გენოციდი. განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი.

ჰოლოკოსტი

გარდაუვალი საჭიროება თუ უბრალოდ გენოციდი?!
